| 8 ნანა ოკინაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 9 გიორგი ქევხიშვილი | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 10 ბესარიონ ბათელაშვილი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 11 ნინო ქევხიშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 12 ნინო თედიაშვილი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

## 28 დიდი ჩაილური

| | | |
|---|---|---|
| 1 ეკა ჭიკაძე-ვეშაპიძე | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 ნელი აზნაურაშვილი | მოადგილე | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 3 ნონა ლოლაძე | მდივანი | ოლქი |
| 4 მაია დიდებულიძე | წევრი | ოლქი |
| 5 ლელა თულაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 ლელა კევლიშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 ნანა მარტიაშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 მიშა კირაკოზაშვილი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 9 სოსო ყავრიშვილი | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 10 ალექსი ფოფხაძე | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 11 მამუკა ჯაჭვაძე | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 12 ზურაბ როსტიაშვილი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

## 29 პატარა ჩაილური

| | | |
|---|---|---|
| 1 მამუკა გორელიშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 გოგიტა სირბილაძე | მოადგილე | რესპუბლიკური პარტია |
| 3 ლია გრძელიშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 ასმათი ათუაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 ელიზბარი გორელიშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 ნათია კოჭლამაზაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 ცისკარა აბესაძე | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 8 თათია გრძელიშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 9 არჩილი ყავრიშვილი | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 10 რამაზი სვიმონიშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 11 მაია ღვინაშვილი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

## 30 კაკაბეთის განახლების უბანი

| | | |
|---|---|---|
| 1 ნატო ჯიღაური | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 ნონა ჯიღაური | მოადგილე | ოლქი |
| 3 როდამი მჭედლიშვილი | მდივანი | რესპუბლიკური პარტია |
| 4 ლეილა ელიზბარაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 ლელა კიკნაძე | წევრი | ოლქი |
| 6 ლალი კოჭლამაზაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 ლეილა მჭედლიშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 ეკატერინე როსტომაშვილი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 9 თინათინ ჩიტრიკაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 10 ლეილა გიგოშვილი | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 11 ეთერი გულაღაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 12 ზაქარია გულაღაშვილი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

## 31 კაკაბეთის საკრებულოს უბანი

| სახელი, გვარი | | ამრჩევი/დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|
| 1 პაატა ჩხეიძე | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 ივანე სვიმონიშვილი | მოადგილე | რესპუბლიკური პარტია |
| 3 ლეილა ბეგიაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 მარიამი კუზანაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 ლალი მალასიძე | წევრი | ოლქი |
| 6 ნანა სანთელაძე | წევრი | ოლქი |
| 7 ნანა ჯიქიძე | წევრი | ოლქი |
| 8 ცისანა მაღალაშვილი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 9 ნანა ქიტოშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 10 ნიკოლოზ გიგოშვილი | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 11 შორენა შაქარაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 12 მზია ქიზიყურაშვილი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

## 32 ვერხვიანი

| | | |
|---|---|---|
| 1 შალვა მამულაშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 იზა ადუაშვილი | მოადგილე | კონსერვატიული პარტია |
| 3 ვერიკო საგინაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 ნათია ბორაშვილი-ცხოვრებაძე | წევრი | ოლქი |
| 5 ლია საგინაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 ნინო ჩოკოშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 ხათუნა ცხოვრებაძე | წევრი | ოლქი |
| 8 ელდარი კოზმანაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 9 დათო გიგოშვილი | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 10 ავთანდილ ჭიკაძე | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 11 ქეთევანი კოზმანაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 12 ლიანა კოზმანაშვილი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

## 33 ყანდაურა

| | | |
|---|---|---|
| 1 მანანა კობიაშვილი-აბესაძე | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 ეკატერინე ალუღიშვილი-გურგენიშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 გულნარა გულაღაშვილი-ელიზბარაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 მაია გამყრელიძე | წევრი | ოლქი |
| 5 ია გურგენიშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 მაია სირბილაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 ლელა გაიმარჯვაშვილი-ადუაშვილი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 8 ნატო შენგელია | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 9 დავით ჩოკოშვილი | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 10 ლიანა ცანკაშვილი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 11 გურამი კუმელაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 12 ნანი ლეგაშვილი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

## 34 ბადიაური

| | | |
|---|---|---|
| 1 ხათუნა ჯავახიშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 მერაბი ჯავახიშვილი | მოადგილე | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |
| 3 მარინე ცანკაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 სიდონია გძელაშვილი-ჯანიაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 გურამი ლეგაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 სოფიო ოდიშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 მზია ხორბალაძე-ჯავახიშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 მეგი ხორბალაძე | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 9 ეთერ ჭიაბერაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 10 მაია ქიზიყურაშვილი | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 11 მარინე პაპუნაშვილი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 12 ლალი ქაიხოსროშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |

## 35 მზისგული

| | | |
|---|---|---|
| 1 იამზე ენუქიძე | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 დარეჯანი გაბრელაშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 ია ჩალათაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 ქეთევან დინოშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 დავითი ზირაქაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 ზურაბ ნარეკლიშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 ქეთევანი ქურხული | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 8 ლია აბესაძე | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 9 ციური თაყნიაშვილი | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 10 ლელა ლოგუა | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 11 ბეჟანი ხატიაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 12 მანანა ფილაური | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

## 36 შიბლიანი

| | | |
|---|---|---|
| 1 ნინო ზირაქაშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 ნინო ხატისაშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 ნინო აბულაძე | მდივანი | რესპუბლიკური პარტია |
| 4 ნატო აბესაძე | წევრი | ოლქი |
| 5 ირინე ბარბაქაძე | წევრი | ოლქი |
| 6 სონიკო ბაღდადაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 ნათია ზირაქაშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 დარეჯან ნავროზაშვილი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 9 გიორგი უცუნაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 10 თამარი ჩოკოშვილი | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 11 ლამზირა ხუროშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 12 ვენერა ივანიაძე | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

## 37 უდაბნო

| | | |
|---|---|---|
| 1 მარიანა ხერგიანი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 მზია გვარლიანი | მოადგილე | ოლქი |
| 3 ელისო ჩიკვაიძე | მდივანი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |
| 4 ნატო გულბანი | წევრი | ოლქი |
| 5 ლარისა მურღვლიანი | წევრი | ოლქი |
| 6 ნათია საბაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 მანანა ჩართოლანი | წევრი | ოლქი |
| 8 მთვარისა ნიგურიანი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 9 ნინო უსტიაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 10 მამუკა ლობჟანიძე | წევრი | გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა |
| 11 ფაცია კორძაია-ყიფიანი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 12 მაიზერი გუჯეჯიანი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |

## 38 დუზაგრამის უბანი

| | | |
|---|---|---|
| 1 აიარ მამედოვი | თავმჯდომარე | კონსერვატიული პარტია |
| 2 მამედ გუსეინოვი | მოადგილე | ოლქი |
| 3 ეთბარ ილიასოვი | მდივანი | ოლქი |
| 4 ქეთინო ბორაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 ნინო ზაკალაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 მამედ მამედოვი | წევრი | ოლქი |
| 7 ალიზამან მურადოვი | წევრი | ოლქი |

დასასრული მე-6 გვერდზე

№11 საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისია

## საქართველოს 2015 წლის 31 ოქტომბრის შუალედური საპარლამენტო არჩევნების

# საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები

**დასასრული**

| სახელი, გვარი | | ამრჩევი/დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|
| 8 ანა ცანკაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 9 მუსლიმ აბუზაროვი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 10 ავთანდილი პასიკაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 11 თეიმურ ისმაილოვი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

**39 დუზაგრამის საკრებულოს უბანი**

| | | |
|---|---|---|
| 1 იმადადდინ ნიაზოვი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 თახირ ისაბალიევ | მოადგილე | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 3 კიას აბუზაროვი | მდივანი | ოლქი |
| 4 ისმიხან კურბანოვი | წევრი | ოლქი |
| 5 თეიმურაზი მესროფოვი | წევრი | ოლქი |
| 6 გიორგი პასიკაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 რომანი პასიკაშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 ფაგილ ამიროვი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 9 რამინ შაბანოვი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 10 აკაკი გურაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 11 ინთზარ ჯაფაროვი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

**40 ქეშალოს სკოლის უბანი**

| | | |
|---|---|---|
| 1 ნაზიმ ხალილოვი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 ჯუმშუდ თაზახანოვი | მოადგილე | ოლქი |
| 3 ირინე ქიზიყურაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 ლეილა დევდარიძე | წევრი | ოლქი |
| 5 თახარ უმუდოვი | წევრი | ოლქი |
| 6 უსუფ ხალილოვი | წევრი | ოლქი |
| 7 გიორგი წიკლაური | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 8 მუსაბეგ გაჯიევი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 9 არაბხან ნამაზოვი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 10 ისა მამედოვი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 11 გიორგი გოდერძიშვილ | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

**41 ქეშალოს ამბულატორიის უბანი**

| | | |
|---|---|---|
| 1 ზიადინ რახიმოვი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 ილხამ ბაირამალიევი | მოადგილე | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |
| 3 ბექა ჩიტიძე | მდივანი | ოლქი |
| 4 თომა ბორაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 იბრაგიმ მამედოვი | წევრი | ოლქი |
| 6 ზაქირ ქაზუმოვ | წევრი | ოლქი |
| 7 მამად ჯივიროვი | წევრი | ოლქი |
| 8 ვახტანგი დიღმელაშვილი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 9 ელჩინ ბაირამოვი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 10 ხვიჩა გურგენიშვილი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 11 მირიან ესაიაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |

**42 მუღანლოს სკოლის უბანი**

| | | |
|---|---|---|
| 1 ზირადინ სამადოვი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 კალაბა ახმადალიევი | მოადგილე | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 3 ხამბათ ჯამალოვი | მდივანი | ოლქი |
| 4 აჰლიმან ახმედალიევი | წევრი | ოლქი |
| 5 მახმადალი გასანოვი | წევრი | ოლქი |
| 6 გულნაზი პასიკაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 მახმად ხუბანოვი | წევრი | ოლქი |
| 8 სანამ ალახვერდიევა | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 9 მახმად ალიევი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 10 მზია ვარაზაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 11 მასიმ მამედოვი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

**43 მუღანლოს ამბოლატორიის უბანი**

| | | |
|---|---|---|
| 1 გეიდარ ჯამალოვი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 თაფდიგ ფაშაევი | მოადგილე | ოლქი |
| 3 ასმაგულ მახმადკიზი | მდივანი | ოლქი |
| 4 ელზა გრიქულოვი | წევრი | ოლქი |
| 5 ბაზირგან კულიევი | წევრი | ოლქი |
| 6 ამირანი ქალაქურაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 პაატა ბუჩაშვილი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 8 მახარამ ბაირამოვი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 9 ნუგზარი ელიზბარაშვილი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 10 ზულფიგარ მამედოვი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 11 აშრაფ ხალილოვი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

**44 ზემო ლამბალოს**

| სახელი, გვარი | | ამრჩევი/დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|
| 1 დურსუნ კარიბოვი | თავმჯდომარე | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |
| 2 ეთერ პატარკაციშვილი | მოადგილე | თავისუფალი დემოკრატები |
| 3 გელა ქალაქურაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 მამედ თანრივერდიევი | წევრი | ოლქი |
| 5 კურბან კურბანოვი | წევრი | ოლქი |
| 6 ადალათ ოსმანოვი | წევრი | ოლქი |
| 7 ლელა ფოცხვერაშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 დალი პასიკაშვილი | წევრი | ოლქი |
| 9 ვაგიფ კურბანოვი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 10 ისლამ გაიბოვი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 იუნუს სარიევი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |

**45 ზემო ლამბალო**

| | | |
|---|---|---|
| 1 ალიარ მუსაბალიევი | თავმჯდომარე | კონსერვატიული პარტია |
| 2 აბილფატ ალიევი | მოადგილე | ოლქი |
| 3 ფიქრია ივანიაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 აგილ ალიხანოვი | წევრი | ოლქი |
| 5 ლალი ბორაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 ხანზადა გასანოვი | წევრი | ოლქი |
| 7 ნანა ქურდოვანიძე-ჩიტიძე | წევრი | ოლქი |
| 8 დავითი ჩოკოშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 9 არასთუნ ქაზუმოვი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 10 თამრიკო ემრაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 11 რასულ კურბანოვი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

**46 ქვემო ლამბალო**

| | | |
|---|---|---|
| 1 საფარ საფაროვი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 ნონა ოქრუაშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 ნიკოლოზ ბორაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 კოლა ბორაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 მუსა ეფენდიევი | წევრი | ოლქი |
| 6 მუსა ისაევი | წევრი | ოლქი |
| 7 ფირუზ მამედოვი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 8 მახმად გოჯაევი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 9 ირადიონ ადუაშვილი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 10 ვაგიბ ახმედოვი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 11 მალიქაჟდარ ალიხანოვი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

**47 თულარის უბანი**

| | | |
|---|---|---|
| 1 რაშიდ ომაროვი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 გელა არჩუაძე | მოადგილე | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 3 ნანა დუჩიძე | მდივანი | თავისუფალი დემოკრატები |
| 4 თამაზი დალაქიშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 მამედ მამედოვი | წევრი | ოლქი |
| 6 ბახრამ რუსტამოვი | წევრი | ოლქი |
| 7 თეიმურაზი სტეფანიშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 თეა ჯავახიშვილი | წევრი | ოლქი |
| 9 აქიფ შარიფოვი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 10 შოთა ჩოკოშვილი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 11 ვახტანგი ბუკუკიშვილი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

**48 თულარის უბანი**

| | | |
|---|---|---|
| 1 რაშიდ ომაროვი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 გელა არჩუაძე | მოადგილე | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 3 ნანა დუჩიძე | მდივანი | თავისუფალი დემოკრატები |
| 4 თამაზი დალაქიშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 მამედ მამედოვი | წევრი | ოლქი |
| 6 ბახრამ რუსტამოვი | წევრი | ოლქი |
| 7 თეიმურაზი სტეფანიშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 თეა ჯავახიშვილი | წევრი | ოლქი |
| 9 აქიფ შარიფოვი | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 10 შოთა ჩოკოშვილი | წევრი | რესპუბლიკური პარტია |
| 11 ვახტანგი ბუკუკიშვილ | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო. |

**49 კაზლარის უბანი**

| | | |
|---|---|---|
| 1 უსუფ კასუმოვი | თავმჯდომარე | რესპუბლიკური პარტია |
| 2 ჰილალ მამედოვა | მოადგილე | ოლქი |
| 3 სადაიგათ მამედოვა | მდივანი | ოლქი |
| 4 აიათ ისმაილოვა-ალიევა | წევრი | ოლქი |
| 5 ლევანი სანთელაძე | წევრი | ოლქი |
| 6 თამაზი ხოსიტაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 თამარ ხოსიტაშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 ირაკლი ქურხული | წევრი | კონსერვატიული პარტია |
| 9 ნათიკ ახმედოვი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 10 ელისო ალექსაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 11 სარდარ ალიევი | წევრი | ქართული ოცნება-დემოკ. საქართველო |

***№11 საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე***

*მაკა ბარიხაშვილი*

## „რთველი-2015“

„რთველი-2015“

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რთველი დასასრულს უახლოვდება

**20 ოქტომბრისათვის** საქართველოში 135 ათასი ტონა ყურძენი იყო გადამუშავებული. აქედან რქაწითელი – 72



ათასი, საფერავი – 44 ათასი. ყურძნის ყოველდღიურმა გადამუშავებამ 7 ათას ტონას გადააჭარბა – ეს მხოლოდ 20 წლის შემდეგ მოხდა.

გასულ წელს საქართველოში მთლიანად 124 ათასი ტონა ყურძენი გადამუშავდა.

რთველი დასასრულს უახლოვდება

სულ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 20 ოქტომბრისათვის სხვადასხვა ქარხნებისათვის ჩაბარებული ჰქონდა 14504 ტონა ყურძენი. აქედან „რქაწითელი“ – 7730 ტონა, „მწვანე“ – 879 ტ,



„საფერავი“ – 5635ტ, სუფრისა და სხვა ჯიშის ყურძენი – 262 ტონა.

აქედან, ბადიაურის მოსახლეობას ამ დროისთვის მთლიანობაში ჩაბარებული ჰქონდა 518 ტონა, გიორგიწმინელებს – 400ტ, დიდ ჩაილურელებს – 1374ტ, ვერხვიანელებს – 650ტ, თოხლიაურელებს – 1429ტ, კაკაბელებს – 4256ტ, მანაველებს – 2509ტ, მზისგულელებს – 531ტ, ნინოწმინდელებს – 203ტ, პატარა ჩაილურელებს – 1076ტ, პატარძეულელებს – 9ტ, საგარეჯოელებს – 1000ტ, ყანდაურელებს – 184ტ, შიბლიანელებს – 230ტ, წყაროსთაველებს – 1,2ტ, ხაშმელებს – 52ტ. ყურძენი.

კულტურა

# საქართველოს სახალხო თეატრების ფესტივალი „გორი-2015“



**13 ოქტომბერს**, საქართველოს სახალხო თეატრების ფესტივალის „გორი 2015" ფარგლებში საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „სისტემა".

აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობას იღებს საქართველოს ცხრა რაიონი: ბორჯომის, სამტრედიის, საჩხერის, საგარეჯოს, ხარაგაულის, წყალტუბოს, ბაღდათის, ჩოხატაურის და ხელვაჩაურის სახალხო თეატრები.

ფესტივალის დასასრულ მსახიობები დაჯილდოვდებიან სხვადასხვა ნომინაციებში (საუკეთესო სპექტაკლი, მამაკაცის საუკეთესო როლი, მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლი, ქალის საუკეთესო როლი, ქალის მეორეხარისხოვანი როლი, საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო მხატვარი, საუკეთესო მუსიკალური გამფორმებელი) გამარჯვებულები.

*ნინო გვაგვალია*



***სცენები სპექტაკლიდან „სისტემა“***

# „ინფრასტრუქტურა-2015“
# პროექტები განხორციელდა, ხორციელდება

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტში 2015 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 44 პროექტი უნდა განხორციელდეს, ხოლო „რეგიონული განვითარების ფონდის“ პროგრამით დაფინანსებული 10 პროექტი. 20 ოქტომბრის მონაცემებით სრულად, 100 %-ით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მხოლოდ 23 პროექტია განხორციელებული, რეგიონული განვითარების ფონდის პროექტით კი – 7.

გაზაფხულზე, მარტში ჩატარებულ სოფლის კრებებზე მოსახლეობამ ძირითად პრიორიტეტად კვლავ სასმელი წყლის სისტემების გაკეთება-რეაბილიტაცია, საუბნო გზების მოწესრიგება, სარწყავი არხების აღდგენა-რეაბილიტაცია დასახა. ამასთან, სერიოზულ შერემონტება-გაკეთებას ითხოვდა მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის რამდენიმე დაწესებულებაც.

**დასრულებულია უკვე:**

**გომბორის თემში**: **გომბორში** სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა, მაგისტრალის გაყვანა არსებულ მაგისტრალამდე;

**სოფელ ასკილაურში** სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია.

**უჯარმის თემში**: სოფელ **უჯარმაში** – სარიტუალო ინვენტარისათვის საწყობის აშენება;

**მუხროვანში** – სასმელი წყლის ჭაბურღილამდე ელექტროენერგიის მიყვანა;

**კოჭბანის თემში**: **სოფელ კოჭბანში** სასაფლაოს შემოღობვა;

**სოფელ სასადილოში** – სარწყავი არხის აღდგენა-რეაბილიტაცია;

**სოფელ გორანაში** – სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია და არსებული მილების დაერთება;

**სოფელ ხაშმში**: საბავშვო ბაღის და ეზოს მოწყობა-რეაბილიტაცია;

**სოფელ წყაროსთავში** – გარე-განათების მოწყობა;

**გიორგიწმინდის თემში**: **სოფელ გიორგიწმინდაში** ცენტრალური ქუჩის გარე-განათების მოწყობა;



ტროტუარი ერეკლე II-ის ქუჩაზე

**სოფელ ანთოკში** – სასმელი წყლის რეზერვუარიდან ახალი მაგისტრალის გაყვანა და შიდა ქსელის მოწყობა;

**სოფელ მარიამჯვარში** – სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეცვლა-რეაბილიტაცია;

**სოფელ თოხლიაურში** – სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის უზრუნველყოფა ბუნებრივი წყლით;

**სოფელ სათაფლეში** – სასაფლაოს შემოღობვა;

**მანავის თემში**: **სოფელ მანავში** – წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა; სარწყავი არხის კიუვეტით მოწყობა;

**ზემო ბურდიანში** – სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა;

**სოფელ ვერხვიანში** – სასმელი წყლის მაგისტრალური მილის რეაბილიტაცია;

**ყანდაურის თემში: ყანდაურაში** – სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია;

**ზემო ყანდაურაში** – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია;

**სოფელ მზისგულში** – სარიტუალო დარბაზის მოწყობა-რეაბილიტაცია;

**სოფელ შიბლიანში** – ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში საექიმო ამბულატორიის მოწყობა;

**სოფელ თულარში** – ივრის ხეობის ნაპირსამაგრის რეაბილიტაცია;

**რაც შეეხება პროგრამა „რეგიონული განვითარების ფონდიდან“ დაფინანსებულ პროექტებს, ჯერ-ჯერობით აქ განხორციელდა შემდეგი პროექტები:**

**ქ. საგარეჯოში** – კოსტავას ქუჩაზე არსებული საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია;

**სოფელ მანავში** – საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია;

**სოფელ გომბორში** – საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია;

**ქ. საგარეჯოში** – თამარ მეფის ქუჩის ასფალტის საფარისა და ტროტუარების მოწყობა;

**სოფელ გიორგიწმინდაში** – ასფალტის საფარის მოწყობა;



ტროტუარი ერეკლე II-ის ქუჩაზე

**სოფელ ბადიაურში** – ასფალტის საფარის მოწყობა;

**სოფელ კაკაბეთში** – ასფალტის საფარის მოწყობა;

**რაც შეეხება ამავე პროგრამით:**

**– სოფელ პატარძეულში** სასმელი წყლის ჭაბურღილისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოებს, აქ ეს სამუშაოები 2016 წლის 6 თებერვლისათვის უნდა დასრულდეს.

**– სოფელ წყაროსთავსა** და ე.წ. „აჭარელების უბანში“ სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობას და შიდა ქსელების მოწესრიგებას,ეს სამუშაოები აქ 2016 წლის 15 თებერვლისათვის უნდა დასრულდეს.

**– ქ. საგარეჯოში,** ერეკლე II-ს ქუჩის ასფალტის საფარისა და ტროტუარების მოწყობა შეაფერხა აღნიშნულ ქუჩაზე სასმელი წყლის ახალი ქსელის გაყვანის სამუშაოებმა.

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გრძელდება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამითა და რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელება, რომელთა დიდი ნაწილი უკვე 80%-ითაა შესრულებული.**



შიბლიანის საექიმო ამბულატორია



კაკაბეთის საუბნო გზა

# მადლობა

**მადლობას** ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი გზირიშვილს**, მის მოადგილეებს **გიორგი რევაზიშვილსა** და **დავით ივანიშვილს**, ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს **ფრიდონ ბურდულს**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს – პროექტის მხარდაჭერისა და მხარში დგომისათვის, ასევე შპს „საქართველოს მელიორაციის კახეთის რეგიონის“ ოფისის უფროსს **ნიკა ქურთიშვილს** (მოსახლეობის გასაჭირის გულთან მიტანისათვის) შპს „საქართველოს მელიორაციის კახეთის რეგიონის ქვემო სამგორის სერვის ცენტრის უფროსს **უშანგი (უჩა) თაბაგარს,** ამავე სერვის-ცენტრის მარცხენა მაგისტრალური არხის უფროსს **ნოდარ ლაფაჩიშვილს,** მარცხენა მაგისტრალური არხის მონაკვეთის უფროსს **ზურაბ შაქარაშვილს**, სერვის-ცენტრის ყველა თანამშრომელს, მათ, ვინც მონაწილეობდა სოფელ მზისგულში არსებული სარწყავი არხის გაწმენდისა და იქ შესასრულებელი სამუშაოების კეთილსინდისიერად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

***სოფელ მზისგულის (ყოფილი ბოგდანოვკის) მოსახლეობის სახელით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ მზისგულში***

*მიხეილ ობოლაშვილი*

## ძიუდო

# რაიონულ პირველობაზე

**11 ოქტომბერს** საგარეჯოს სპორტ-გაერთიანების სპორტდარბაზში ჩატარდა რაიონული პირველობა ძიუდოში 2001-2002, 2003-2004 და 2005-2006 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. პირველობაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებში არსებული ძიუდოს სექციის მოსწავლეები. კარგი შედეგები აჩვენეს საგარეჯოს, კაკაბეთის, უდაბნოს, მზისგულის, პატარძეულის, გიორგიწმინდის, იორმუღანლოს, ჩაილურის ძიუდოს სექციის მოსწავლეებმა.

**2001-2002** წლებში დაბადებულებმა სხვადასხვა წონით კატეგორიებში I ადგილები დაიკავეს: სულიკო გეთიაშვილმა (კაკაბეთი), მინდია ბაბაკიშვილმა (საგარეჯო), რეზო ჭიკაძემ (მზისგული), ვასილ ოთიაშვილმა (კაკაბეთი), ზაზა როსტიაშვილმა (პატარა ჩაილური).

**2003-2004** წლებში დაბადებულებში: თენგო მაისაშვილმა (საგარეჯო), გიორგი სონიძემ (საგარეჯო), გიორგი არღვლიანმა (უდაბნო), მირიან კურდღელაშვილმა (საგარეჯო), თენგო ხებრელაშვილმა (საგარეჯო), დათო შათირიშვილმა (საგარეჯო), ელთაჯ ბაირამოვმა (იორმუღანლო, მძიმე წონა).

**2005-2006** წლებში დაბადებულებში: კახა ჯანდაგაშვილმა (პატარძეული), დათო კევლიშვილმა (გიორგიწმინდა), ლუკა ჯინჭარაძემ (გიორგიწმინდა), გიორგი ზუკაკიშვილმა (პატარძეული), ლევან კევლიშვილმა (გიორგიწმინდა), ბესიკ ქალდანმა (უდაბნო), ბექა დიღმელაშვილმა (მძიმე წონა).

პირველობის მთავარი მსაჯი იყო ბადრი ბასილაშვილი.

# გიორგი გზირიშვილის მემორიალი

## თავისუფალი ჭიდაობა

**17-18 ოქტომბერს** გაიმართა საქართველოს ჩემპიონის, სსრკ პრიზიორის, სპორტის ოსტატის გიორგი გზირიშვილის მერვე მემორიალი თავისუფალ ჭიდაობაში.

გია მაისურაძე – აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ დირექტორი: – ჩვენი სახელოვანი მოჭიდავის ტრადიციულ მერვე მემორიალში მონაწილეობდნენ: თბილისის, მცხეთის, დიღმის, გამარჯვების, ხარაგაულის, კასპის, ხონის, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, ახმეტის, მარნეულის, ბოლნისის, რუსთავის, გორის, ქარელის, გლდანის, ყვარლის, ხაშმის და საგარეჯოს 250-მდე მოჭიდავე. შეჯიბრებას მეტი მოტივაცია შესძინა მრავალრიცხოვანი საპატიო სტუმრის დასწრებამ. მათ შორის იყვნენ – მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიური ჩემპიონი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, პარლამენტარი ლერი ხაბელოვი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი პარლამენტარი შოთა ხაბარელი, საქართვერლოს ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, სსრკ ექს-ჩემპიონი, პარლამენტარი ნოდარ ებანოიძე, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ევროპისა და სსრკ-ს მრავალგზის ჩემპიონი გივი ონაშვილი, ევროპისა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სამბოში მამუკა კურდღელაშვილი, საგარეჯოს მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატი თამარ ხიდაშელი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის პრიზიორი სამბოში დავით სვიმონიშვილი და სხვები.

გიორგი გზირიშვილის სახელობის პრიზი გადაეცა თბილისელ ბიძინა ინაშვილს (100კგ), ხოლო გიორგის მამის, სახელოვანი მოჭიდავის შალვა გზირიშვილის სახელობის პრიზი გადაეცა თბილისელ დავით ქოჩქიანს. მის მიერვე დაწესებული ეს პრიზები გამარჯვებულებს გადასცა გიორგი გზირიშვილის ვაჟმა შალვა გზირიშვილმა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა წონით კატეგორიაში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

ტურნირში მონაწილეობდნენ 2 ასაკობრივი ჯგუფის – 2001-2003 წლებში და 1999-2000 წლებში დაბადებული ჭაბუკები. ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სახელოვანმა გარეჯელმა მოჭიდავემ, საქართველოს ექს-ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში, საკავშირო პირველობის პრიზიორმა სულიკო ზალიკაშვილმა, საქართველოს ექს-ჩემპიონმა, საკავშირო პირველობის პრიზიორმა, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა ტარიელ როსტომაშვილმა, ასევე, მრავალი მემორიალისა და სახ ელობითი ტურნირის ორგანიზატორმა, წარსულში ცნობილმა მოჭიდავემ ბიჭიკო მარიდაშვილმა.

2001-2003 წლებში დაბადებულებიდან (ჩვენი რაიონიდან) პირველი ადგილები მოიპოვეს: თორნიკე ასაბაშვილომა (26კგ წონითი კატეგორია); 35 კგ წონითი კატეგორიაში – გიგა დოლენჯაშვილმა, 42 კგ წონითი კატეგორიაში – ფირუზ ქვლივიძემ, 53 კგ წონითი კატეგორიაში – ბაჩო ქვლივიძემ.

*თენგიზ კობიაშვილი*

## რობა როსტიაშვილი

**შემოდგომა** მოვიდა შვილო რობა! მოვიდა თავისი მრავალფეროვნებით, ხვავითა და ბარაქით. ყოველთვის დიდი სიყვარულით ველოდებოდით მეც და შენც შემოდგომის დადგომას. 30 ოქტომბერი ხომ შენი დაბადების დღეა, შენ შენებურად გიყვარდა ეს დღე, მე კი ჩემებურად, იმიტომ, რომ ჩემი შვილი იზრდებოდა, კაცდებოდა და მქონდა მომავლის იმედი.

მეგონა – უბედნიერესი კაცი იქნებოდი, დაოჯახდებოდი და მაჩუქებდი შენსავით ლამაზთვალება პატარა შვილებს, მაგრამ... არ ამისრულდა ეს ოცნება.

მე ძალიან უყისმათო ადამიანი ვარ, კარგზე მეტი ტკივილიანი დღეები მახსოვს, მაგრამ ამას როგორღა ვიფიქრებდი, რომ შენც ასე გამექცეოდი და ასე გამამწარებდი. ყველა დანარჩენი ტკივილი გადაფარა შენმა იმქვეყნად წასვლამ, შვილო. დედისათვის იმაზე ძნელი ასატანი და შესაგუებელი არაფერია, რაც შეიძლება შვილის გარდაცვალება იყოს, მაგრამ, რა ძალიან მაგარი ქვა ყოფილა ადამიანი. მართალია, ვაი უბედურებით, მაგრამ, მაინც ვუძლებ ამ ყველაფერს.

აგერ უკვე რამდენი დრო გავიდა, მაგრამ დედა უშენობას ვერ მიეჩვია – ისევ გელოდება, ისევ დაგეძებს ხალხის გარემოცვაში, იქნებ სადმე დაგინახოს და ჩაგიკრას გულში, რომელი გულიც შენი მონატრებით გასკდომას ლამობს.

შენს სახლში აღარ მიდის დედა. არ მინდა ის სიცარიელე დავინახო და უშენობა ვიგრძნო. რა ვქნა, მგონია, რომ ისევ იქ ცხოვრობს ჩემი უყისმათო შვილი, რომელიც დედას ასე სასტიკად ენატრება.

რა მწარეა, შვილო, ჩემთვის ეს ყოფა, მაგრამ, მე ხომ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და არ შემიძლია უფლის ნება-სურვილი შევცვალო. ეტყობა ასეთი იყო უფლის ნება, რომ შორიდან უნდა გვენატრებოდეს ერთმანეთი. მალე მოვა ის დრო, რომ მე წამოვალ შენთან. ზუსტად ამ იმედს მოჭიდებული ვაგრძელებ ცხოვრებას, ვებრძვი ჩემს თავს, რომ გავუძლო ამ მწარე დღეებს.

ჩემო საყვარელო და ჩემი სიცოცხლით გაუხარელო შვილო, რობა! უკვე მეორე დაბადების დღეს უნდა შევხვდეთ უშენოდ. 30 ოქტომბერს 36 წლის ხდები. როგორ გიყვარდა ეს დღე. არ შემაწუხებდი, მაგრამ, რაც გექნებოდა, აუცილებლად აღნიშნავდი ხოლმე.

მეც ასე მოვიქცევი, შვილო და როგორც შევძლებ, ისე აღვნიშნავ უშენოდ შენს დაბადების დღეს.

მოვალ შენს მუდმივ სასუფეველთან, ჩაეხუტება დედა შენს გაყინულ და გაუნძრევლად მდგარ სურათებს, რომლებიც დედას უღიმიან და გეტყვი, რომ 36 წლისა გახდი, შვილო.

## ხსოვნა



გეტყვი იმასაც, რომ უაზროდ და უსაზღვროდ მენატრები, ჩემო სიცოცხლით გაუხარელო, ჩემო გიჟმაჟო და ჩემო უყისმათო შვილო!

მოვალთ მთელი შენი ოჯახი შენს მუდმივ სასუფეველთან, აგინთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენი სულისთვის.

ნათელში იყოს შენი კეთილი სული, შვილო, რობა!

ყველა მხარეს შენ დაგეძებ,
ვდგავარ, შვილო, უაზროდ.
დრო გადის და იმ აზრს ვერ ვეგუები,
რომ წახვედი და აღარ დაბრუნდები.
მენატრები, უშენობას ვერ ვუძლებ,
გული ტირის, თვალები კი შენ გეძებს.
ცოცხალი ვარ,
მაგრამ მკვდარის ტოლფასი –
რად წახვედი, დედას რად გაეყარე?!
წახვედი და ჩემი გული შენ გაგყვა,
გამაგიჟე, გული ძლიერ მატკინე.
მენატრები, თავს ვერაფერს ვუხერხებ,
დრო გადის და გული არა მშვიდდება.
მინდა, შვილო, სულ რომ შენზე ვიფიქრო,
ვხუჭავ თვალებს
და ოცნებით შენთან ვარ.
ოცნებაში როგორ ტკბილად გეხვევი,
შენს სუნთქვას ვგრძნობ,
თითქოს გვერდით მიდგახარ,
შენი სითბო დედას გულში ეღვრება,
თვალებს ვახელ და სიმწარე მერევა –
არსად არ ხარ, დედაც გიჟს ემსგავსება,
დაგეძებ და მაინც ვერსად ვერ გნახე,
მეძახი და ხმას ვერ ვაწვდენ შენამდის,
ამ სიმწარემ ლამის მთლად გამაგიჟოს.
გავგიჟდე და დამეკარგოს აზრები,
ველარ ვიგრძნო, თუ როგორ მენატრები,
მინდა, შვილო, შენთან ვიყო,
ჩაგეხუტო, დაგიკოცნო სხეული,
და მოვიკლა მონატრების სურვილი.
ეს დღეც მოვა, გამიხსენებს უფალი,
მოვალ შენთან, მაგრად ჩაგეხუტები.
დაისვენებს ჩემი ტანჯული სული!

ყველას ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, შვილო რობა!

*დედა*

*მანანა ქოქიაური*

# გამოსათხოვარი

## ნანა ზირაქაშვილი



... **ოცდამეჩვიდმეტე** შემოდგომაზე ჩაგიტყდა ცხოვრების კიბე, უკურნებელმა სენმა მიწაზე დაგცა და ფრთები შეგიმსხვრია. არა და, რა იმედით შესცქეროდი მომავალს, რამდენი კეთილი საქმე დაგრჩა დაუსრულებელი.

19 ოქტომბერს, თითქოს შემოდგომის ნისლი ჩამოწვა პატარა ჩაილურის საჯარო სკოლაში შენი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლისა, ჩვენო ნანა... ნათელი გონებით, შველის თხოვნითა და მეგობრული სულით, სულ სამიოდე თვე ებრძოდი უკურნებელ სენს.

უაღესად კეთილო, ნიჭიერო, განათლებულო, მშვიდი ხასიათის ქალო. ძალიან გიყვარდა პატარები, დიდი ხალისით ასწავლიდი „აი იას“. გიყვარდა სიცოცხლე, ყველაფერი, რაც ამ ქვეყნად ამ გრძნობას უკავშირდება, გიყვარდა მეგობრები, თანამშრომლები და ყველა შენი აღსაზრდელი. გულს გიხარებდა და სიამაყის გრძნობით გევსებოდა დიდრონი თვალები ყველას წინსვლით და წარმატებებით, რამეთუ თვითონაც იყავი შესანიშნავი მეუღლე, დედა და აღმზრდელი ჩვენი მომავალი თაობისა.

ვერ წარმოგვიდგენია უშენობა, ნანა! წუხს მთელი შენი პედაგოგიური კოლექტივი, შენი სამეგობრო, ჩვენ ვერაფერი მოვიმოქმედეთ სიკვდილის ბრჭყალებიდან შენს გამოსახსნელად.

ისღა დაგვრჩენია, მოვეფეროთ შენს ობლადდარჩენილ ორ ანგელოზს, დარდი გავუქარწყლოთ, უდედობას მივაჩვიოთ...

შენ კი ამიერიდან სიზმრებში მოგეფერებით და მოგიყვებით სკოლისა და შენი კლასის ბავშვების ამბებს.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული! გჯეროდეს, რომ შენი ნათელი ხსოვნა არასოდეს ჩაქრება ჩვენს გულებში.

*პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის დირექცია, დაწყებითი კლასების კათედრა, პედ. კოლექტივი*

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ისტორიკოსს, ჟურნალისტსა და პუბლიცისტს ალექსანდრე ელერდაშვილს მეუღლის

**ელისო**

**ბილაშვილი-ელერდაშვილის**

გარდაცვალების გამო.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru